



1.სოციალური მუშაკი

პროფესიის ზოგადი აღწერა:სოციალური მუშაკი არის სპეციალისტი,რომელიც უწევს მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და მორალურ-სამართლებრივ დახმარებას ინვალიდებს, მარტოხელა მოხუცებს,მრავალშვილიან დედებს, ობოლ ბავშვებს, მძიმედ დაავადებულ პირებს, ნარკომანებს და ალკოჰოლიკებს, სტიქიური უბედურების, ეკოლოგიური კატასტროფების, ნაციონალური კონფლიქტების,საომარი მოქმედებების, ახლობლების ან საცხოვრებლის დაკარგვის შედეგად ფსიქოლოგიურ დეპრესიაში მყოფ პირებს.დღეს განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ მუშაკთა მოღვაწეობის არეალი ძალიან მრავალფეროვანია.იგი ავლენს დახმარების საჭიროების მქონე მოქალაქეებს და ადგენს მათთვის გასაწევი დახმარების ფორმასა და მოცულობას. კონსულტაციას უწევს ინდივიდებს, ჯგუფებს, ოჯახებს და საზოგადოების სხვა წევრებს ფსიქიკური ჯანმრთელობის, სიღარიბის, უმუშევრობის, ნარკოტიკული ნივთიერებების მავნებლობის, ძალადობის, რეაბილიტაციის, ბავშვის მოვლისა და სამედიცინო დახმარების საკითხებში. ესაუბრება კლიენტებს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. აფასებს მათ სიტუაციას, პრობლემებსა და შესაძლებლობებს და განსაზღვრავს მომსახურებას, რომელსაც ისინი საჭიროებენ. ეხმარება კლიენტებს იურიდიული, სამედიცინო და ფინანსური დახმარების მიღებაში. ასწავლის თუ რომელ ორგანიზაციას, სად და რა ფორმით უნდა მიმართონ განცხადებით.უზრუნველყოფს

პრობლემურ სიტუაციაში მყოფ ბავშვებსა და მათ ოჯახებს სოციალური მომსახურებითა და დახმარებით, სოციალური, ფსიქოლოგიური და აკადემიური ფუნქციონირებისა და ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. ეხმარება მშობლებს ბავშვის შვილად აყვანის პროცესში. თავშესაფრით უზრუნველყოფს უსახლკარო ან ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს. სკოლებში მუშაობს ისეთ პრობლემურ, როგორებიცაა მოზარდების სექსუალურ-ასაკობრივი კომპეტენცია, ცუდი ყოფაქცევა, სიზარმაცე.სოციალური მუშაკი დახმარებას ასევე უწევს იმ პირებს, რომლებსაც აწუხებთ ფსიქოლოგიური, ემოციური და სხვადასხვა ნივთიერების (ნარკოტიკები, ალკოჰოლი, თამბაქო) ბოროტად გამოყენების პრობლემები. კონსულტაციას უწევს კლიენტის ოჯახის წევრებსაც ,მხარდაჭერის საკითხებში.

ინდივიდუალური მოთხოვნები სპეციალისტის მიმართ:სოციალურ მუშაკს უნდა ახასიათებდეს წესიერება, პატიოსნება, უანგარობა, მიზანდასახულობა, დამაჯერებლობა, ძლიერი ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, დაკვირვებულობა, სულიერი და ემოციური მდგრადობა, წყნარი და სასიამოვნო ტემბრის ხმა.სასურველია იურისტის ან ფსიქოლოგის განათლება.

პროფესიული უნარ-ჩვევები:სოციალური მუშაკის პროფესია პირველ რიგში მოითხოვს ჰუმანურობას,ინტუიციას.მას უნდა შეეძლოს სხვისი დარდის გაზიარება. დაინტერესებული იყოს ეთიკის, ესთეტიკის, სოციოლოგიის, მედიცინის, განათლებისა და პროფკონსულტაციის საკითხებით.

სამუშაო ადგილი:სოციალურმა მუშაკმა შეიძლება იმუშაოს სკოლაში, მოხუცებულთა თავშესაფარში, სოციალური მომსახურების და ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრებში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში.

მომიჯნავე პროფესიები: სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი, პედაგოგი, ფსიქოლოგი, სოციოლოგი.

განათლება:სოციალური მუშაკის პროფესიას ეუფლებიან უმაღლეს სასწავლებლებში და კოლეჯებში.

სამედიცინო რეკომენდაცია: სამუშაო არ არის რეკომენდირებული იმ პირთათვის,რომლებიც დაავადებული არიან გულ-სისხლძრღვთა, ნერვული - ფსიქიური ან სხვა ისეთი დაავადებებით,რომლებიც იწვევს დისბალანს კომუნიკაციასა და პროფესიულ საქმიანობას შორის.